

ლიტერატურული გაზეთი


№27 28 მაისი - 10 ივნისი 2010

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

გრიგოლ რობაქიძე —
ნობელის პრემიის
პირველი ქართველი
ნომინანტი

X-XII





ზურაბ ლავრელაშვილი

ბაქცევა

ვრება საიდანაღც. კარგია მაშინ ფანჯარასთან ჯდომა და ქუჩაში ცქერა, სადაც ხალხი ირევა და ავტომობილები გიჟებივით დაჰქრინან. მარტოობის შეგრძნებაც ასე უფრო ტკბილია, ვინემ სხვა დროს, როცა სასონარკვეთილს თავი ეული და მიუსაფარი გგონია. დიახ, ნორა მარტოსული იყო, თუმცა მშობლებიც ჰყავდა და ნათესავ-მეგობრებიც. მოსწონდა ეს, მარტოსულობა უპირატესობა ეგონა, რაკი სხვებს არ ჰგავდა იმ თავის მარტოობაში. მყუდრო ბინა იყო მისი თავმესაფარი. ძილის წინ აანთებდა აბაჟურთან სანათურს, ჩართავდა რადიოს ან ტელევიზორს, ზოგჯერ მსუბუქ საკითხავს გადმოიღებდა და თან ღამეს უსმენდა. აი, ეს იყო მისი ცხოვრება — სამსახური და სახლი. გრძნობები?! ვნება?! ალტაცება, ტრფილი?! თავყვანისმცემლები საკმარისად აუჩნდნენ, მაგრამ მამაკაცი არ ჰყოლია: ყოველ შემთხვევაში, დღევანდლამდე, როცა უცხო კაცი მის საწოლში ნევის და ისიც — მკვდარი, უძრავი, უმეტყველო. ნორამ სახეში შეხედა მკვდარს. ისიც კი არ იცის, მისია თუ არა მიცვალებული?! ასე რომ იყოს, იზრუნებდა მაინც მასზე, ყვავილებს დაუნყოფდა მკერდზე, თმას გაიშლიდა და იტირებდა. სხვისი მკვდარი როგორ ეგლოვავ?! მიცვალებული რაღაცით იზიდავდა. ნორას ამიერიდან საფიქრალი გაუჩნდა. ეს მისი საიდუმლო იყო, თითქოს მკვდრის გაყინული გუგები უთქმელად აგებინებდნენ: „შენ გამოუცნობს ჩასწვდი, ნორა, და გამოუთქმელი იხილე! ახლა რაღას იზამ?!

ნორას მიცვალებულების ეშინოდა. ამიტომაც ძალზე შემფოთდა, თითქმის შეძრწუნდა, როცა ივლისის სულისშემოხუთველ საღამოს საძინებელში შესვლისას მკვდარი მამაკაცი დაინახა საწოლზე. რა ექნა?! პოლიციაში დარეკვა განიზრახა, მაგრამ გამოძიებელთან შეხვედრისა და დაკითხვის შიშმა გადააფიქრებინა. მიცვალებული თავით საწოლის ზურგს მისვენებული იწვა. პერანგი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა, რაც ფრიად რესპექტაბელურს აჩენდა. ჰაერში ოდნავ მოტკბო სუნი იგრძნობოდა — გვამს უკვე ხრწნა დაეწყო და ზაფხულის პაპანებაში ნორამ სუნამოს არომატთან შერეული აქოთებული წინდების სუნიც იყნოსა. ცხადია, მასთან დიდ ხანს ვერ დარჩებოდა, კვირის ბოლომდეც ვერ მიატანდა, რადგან ხრწნის სუნის სუნი მალე ბინიდან გაჟონავდა და მეზობლები ყველაფერს მიხვდებოდნენ. როგორ მოიქცეს?! ნორა ფანჯარასთან მივიდა და გამოალო, მაგრამ იმავ წამს დახურა, დივანზე ჩამოჯდა და სახე ხელისგულებში ჩამალა. მთავარი იყო, შიშს არ დანებებოდა. კარგი იქნება, თუ მიცვალებულს ოთახიდან შეუმჩნევლად გაიტანს, მაგრამ მარტო ამას ვერ შეძლებდა. ნანილ-ნანილ რომ დაეჭრა? ფილმებში ეს ენახა. ნორამ გამბედაობა მოიკრიბა და სამზარეულოდან დანა შემოიტანა, მაგრამ მიცვალებულის სიზვიადემ შეაჩერა. მკვდარი მამაკაცი ერთდროულად შიშსაც აღუძრავდა და პატივისცემასაც. ნეტავ აქ საიდან გაჩნდა? ფანჯრიდან შემოიპარა თუ კარიდან შემოვიდა? ვინმემ მოკლა თუ თავისით მოკვდა? მერედა, რაღა მისი ბინა ირჩია საბოლოო განსასვენებლად? ის, რომ კაცი მის ლოგინზე იწვა, ნორას ყრუოლას ჰგვრიდა. დანამომარჯვებული მიუახლოვდა და მოეჩვენა, თითქოს მიცვალებული დამცინავად უყურებდა. რა სამწუხაროა, რომ ვერ გაესაუბრება! ნორა ფერხითი ჩამოუჯდა მიცვალებულს. რაზე ისაუბრებდნენ?! ალბათ ამინდსა ან სამსახურში მეტროთი მგზავრობის სიძნელეზე. დილაობით ხომ მეტროპოლიტენი ხალხით არის სავსე და ნორას დიდი ჭაპანწყვეტა უხდება, სანამ ვაგონში შევა. მერე რამდენიმე სადგური ვილაცის ბეჭზე ცხვირმიჭყლეტილმა უნდა გაიაროს, ჯაჯგურსა და ჯგლეითას გაუძლოს და ესკალატორზეც ისე ავიდეს, კაბა არ დაეჭმუჭვნოს. მაგრამ ვაითუ მიცვალებულებს საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ამბები არ აინტერესებთ? მაშინ ღრუბლებსა და მთვარეზე მოუყვება რამეს; იქნებ გრანელის ლექსიც უხსენოს სამუდამო მარტოობაზე დაისის ჟამს, როცა ნითელი მზე ფანჯრის მინებს ააელვარებს. ნორას უყვარდა ეს სევდიანი ლექსები, რომლებსაც განუმეორებელ ხიბლს მატებდა მათი ავტორის ბეჩავი ყოფა. ნეტავ ჩემი ძმა იყოსო, უფიქრია ხშირად, მაგრამ გრანელი არავის ძმა არ ყოფილა, თავისი დებისაც კი. ნორამ ეს იცოდა. ოცდასამი წლისას სიცოცხლე იმდენად სწყუროდა, გრანელის საფერებლად არ ეცალა. სიკვდილის ხშირი ხსენება ამ ლექსებში მისთვის გამაბრუნებელი სასმელივით იყო, როგორც, ვთქვათ, ლიქიორი ან მსუბუქი კოქტეილი; აიღებ ჭიქას, ცოტას მონრუპავ, ტანში ჟრუანტელი დაგივლის, თვალები დაგენამება და ოდნავ სევდიანი, ბუნდოვანი აზრები დაიძ-

ქალი იჯდა, მის პირდაპირ ყმანვილს ეძინა. ნორა სავარძელზე დაეშვა და ამოიოხრა. ნელი-ნელ ბრუვდებოდა, იღვენებოდა, დაბლა ცურდებოდა, სადაცაა იატაკზე გაიშხლართებოდა. „ნუთუ მეც მოვკვდი?“ — ნორას აღარ შეეძლო სიკვდილზე ეფიქრა; ეფიქრა იმაზე, თუ სად იმყოფებოდა — აქეთ, სააქაოში თუ რომელიღაც მიღმურ სამყაროში, თუნდაც ჯოჯოხეთში. „გამაგრდი, ნორა!“ — მოესმა უცებ და ნორამ მისკენ დახრილი ყმანვილი დაინახა. „მე ექიმი კარანაძე ვარ“, — ყმანვილმა სავიზიტო ბარათი გაუნოდა და იმავ დროს მის მაჯას დასწვდა. ნორამ დაიკვნესა. „ნუ წრიალებთ“, — მკაცრად გააფრთხილა ექიმმა, — უნდა დაისვენოთ. ვიცი, რომ გიმძიმთ იმის გამოება, რაც გადაგხდათ, მაგრამ ბედს არ უნდა დაემორჩილოთ“. „ჩემი სახელი ვინ გითხრათ?“ „ჩვენ ხომ ერთმანეთს ვიცნობთ“. „ნუთუ?“ „პატარაობისას, როცა რამე გტკიოდა, დედას ჩემთან დაჰყავდი კლინიკაში. ხვალაც შემომიარე, მინდა რაღაც გაჩვენო“. ნორას სახე დაეღიძა, რაც გაღიძებას ჰგავდა. ექიმი მასზე პატარა ჩანს. ეტყობა, დასცინის! ნორამ კვლავ დახუჭა თვალები. ძილი სძლედა. მატარებლის რწევა უნანავებდა, თუმცა ექიმთან საუბარმა გამოაფხიზლა. არა, ნორა სხვისი სამასხარაო არ



გაიქცევი თუ ჩემთან იცხოვრებ?! აირჩიე, ნორა, ნება შენია!“ ნორამ დანა დააგდო და საძინებლიდან გავიდა. ღამის გასათევად მშობლებთან ნასვლა გადანიყვიტა, რადგან ჯერ ვერ შესჩვეოდა მიცვალებულს. მაინც ეშინოდა მისი. ხელჩანთა აიღო, კარი გამოიკეტა და კიბეებზე დაეშვა. უკვე ბნელოდა, სამარშრუტო ტაქსები აღარსად ჩანდა, ამიტომაც ნორამ მეტროპოლიტენისკენ გასწავა. მიდიოდა, მიბაკუნობდა, ხელჩანთა მტკიცედ ჩაებლუჯა ხელში და კვლავაც მიცვალებულზე ფიქრობდა. მეტროპოლიტენის გვირაბშიც ასე გაბრუნებული ჩაეშვა. ესკალატორს ნელა ჩაჰყავდა ქვემოთ, ცრიატი სინათლისაკენ. მატარებელი შემოგრიდა და ნორა ვაგონში შევიდა. ვაგონი თითქმის ცარიელი იყო. მარტო ერთ კუთხეში ვილაც ბავშვიანი

ჩასძახა მან, თითქოს უფსკრულში იყურებოდა, — ესეც ნეტარებაა, ნორა, ტკბობა, თავდავინყება. მამ ჩემთან რაღად მოხვედი? მიცვალებული აგიყროდა და სუნი გალონებს? თქვი, ნორა, გამომხილე შენი საიდუმლო, თუ სიცარიელის მეტი არაფერი გაგაჩნია?!“ ნორა ხმას ვერ იღებდა. ექიმმა იმედი გაუცრუა. უთხრა, სასწაულს გიჩვენებოდა და სისულელეს კი ებუტებუტება! ნორამ თავი დახარა. აქ ვეღარ გაჩერდებოდა. ექიმი კიდევ მცირე ხანს ესაუბრა და გამოუშვა. ნორა ყოყმანით შეჩერდა გზაჯვარედინზე. საით წავიდეს? საკონდიტროში შევიდა, ნამცხვარი შეჭამა და ყავა დააყოლა. შინ მიცვალებული ელოდებოდა, ამიტომაც უნდა ეჩქარა, რადგან მარტო აღარ იყო. საკონდიტროდან ქუჩა ჩანდა, მაგრამ ნორას სანახაობა აღარ იზიდავდა. ტაქსი გააჩერა და ათ წუთში სახლში იყო. მყუდროებაში ჩაძირული ბინა მდუმარედ დაუხვდა. ნორამ საძინებელში შეიხედა, მიცვალებული ისე უძრავად იწვა, ზვიადი, უტყვი, თითქოს ზემოდან მაცქერალი. პირისკანი ოდნავ შეჰყვითლებოდა, უბეებიც ჩაშავებოდა. ნორამ ხელჩანთა საწოლზე მიაგდო, ლოგინზე ჩამოჯდა და მკვდარს თავისი ეჭვები და გრძნობები გაუხიარა. არც ის დაუმაღავს, მხსნელად ექიმს რომ უხმო: წინასწარ ვიციოდი, ვერაფერს მიშველიდა, მაგრამ სულმოკლეობამ ძძლია, მაინც მივედი მასთან კლინიკაში; შენთან უნდა დავრჩენილიყავი, ჩემი ძვირფასო, რადგან შენ ჩემი ნანილი ხარ, ჩემი საიდუმლო, ჩემი საუფხე; ამიერიდან აღარ მიგატოვებ, რათა გამოუთქმელის ხსოვნა არავინ შემიბლალოს. მიცვალებული გულგრილად უსმენდა ერთგულების ფიცს. ნორას ეწყინა. განა საპასუხო სიყვარულის ღირსი არ იყო?! თავისუფლება იმისთვის დათმო, თანაგრძნობა მაინც არ ღირსებოდა? ნორა მუდარით მიაჩერდა მიცვალებულს, მაგრამ ის შეუბრალებელი იყო. ნორას ტირილი წასკდა. ლოგინს დაემხო და მიცვალებულს მიუჩოჩდა, როგორც ნელმონყვეტილი ძალი მიხობავს ხოლმე ჯოხშემართული პატრონისაკენ. ასე ტირილითა და სლუკუნით ჩაიძინა, თითქოს ამით ბედისწერას გაექცეოდა. მოკუნტული იწვა და ღამე ჰფარავდა მასაც და მის ტანჯვასაც. მარტო მიცვალებულის თვალები ანათებდნენ ბნელში და უეცრად გამოღვიძებული ნორა მათ ცივ ნათებას მზერას არიდებდა, ქუთუთოებს ხუჭავდა, რათა მხსნელ ძილს დანებებოდა, რადგან ხვდებოდა, გამოღვიძება რა ძნელიც იქნებოდა. ჯერ ისევ რიჟრაჟი იყო, როცა ტელეფონმა დარეკა. ნორამ ნაცნობი ხმა გაიგონა ყურმილში და თითქოს გული საგულეს მოსწყდა, სადღაც დაბლა ჩაუვარდა. „ექიმო, გემუდარებით, მალე მოდიო!“ „მხსნა რამე, ნორა?“ „არ ვიცი, მაგრამ მოდიო“. „მარტო ხარ?“ ნორამ მიცვალებულს გახედა და ცრემლების ყლაპვით დაუდასტურა. დიახ, მარტოა, მარტო! განთიადის სინათლე ფანჯრის ოთხკუთხედსა და ქუჩაში ალვის კენწეროებს მოედო. ნორა გათანგული იწვა და მიცვალებულისკენ ცქერა ვეღარ გაებედა. მხოლოდ ახლა მიხვდა, რა სისულელე ჰქნა, როცა ნებით მას დაემონა! მიხვდა, რომ მიცვალებული აღარსად გაუშვებდა და ისიც სამუდამო ტყვე იყო მისი, როგორც გველისგან მონუსხული ბაჭია ან საკანში გამომწყვედი ტუსალი! ექიმი მართლაც მალე მოვიდა. მან ნორა სამზარეულოში გაიყვანა და ჭიქით წყალი დაალევინა. ნორა კანკალებდა. „აქაურობას უნდა მოვამოროთ, ნორა, გესმის! სუნს მაინც ვერ გრძნობ?! ვერ გრძნობ, როგორ ყარს?“ ნორას ახლავდა ეცა ცხვირში მიცვალებულის აქოთებული სუნი. ეს სუნი მასაც უდიოდა. მას ზიზღით გააჟრჟოლა. ექიმმა სიტყვის უთქმელად გააძრო ნორას სამოსი და აბაზანაში შეაგდო. ცხელი წყლის ჭავლმა ნორა კინალამ გაგულა. ექიმი მანამდე ბანდა და ხეხდა, სანამ

„ვიცი, მკვდართან რომ ცხოვრობ, —

მამუკა წიკლაური

ფიტულის გამოფანა

მე ფიტული ვარ — ჟამის ფიტული,
დღეებისა და ღამეების შესაკრებელი;
შენც ფიტული ხარ, სალომე, და მეც ფიტული ვარ —
ჩვენ ჩვენი დიდი სიყვარულის ფიტულები ვართ,

არც დაიღალა, ვერც გაქალა...

ჩამოიქცა წვიმა
ას სევდიან სიმაღ,
აღარც ზეცა დაიღალა და ვერც გაქალა მიწა.

უსასრულოდ ვჩნდებით,
უსასრულოდ ვქრებით.
არც სიცოცხლე დაიღალა, ვერც სიკვდილი გაქალა.

მზე სულ მიდის, მიდის,
არ უტყდება ხიდი.
არც სინათლე დაიღალა, ვერც სიბნელე გაქალა.

ხმალი დადნა ლევით,
ძირს მიგია ძეძვი.
არც იმედი დაიღალა და ვერც გაქალა სევდა.

ჩოხალაური

ზამთრის პირია. გავასვენეთ ჩოხალაური.
ჩანალვლიანდნენ, ჩაინისლნენ ხატის ტყეები;
ისაკლისებენ ჩოხალაურს, ჩამწუხრდნენ მთები.
მოდის ზამთარი... იმიტომ მოდის,
რომ დაასვენოს ქარებისგან ნატანჯი ტყე და
რომ დააძინოს უძილობით ნატანჯი მთები.

გლაჭიასა და მარლიას მითი — 2008 წ.

გლაჭიასა და მარლიას — ორ ძმას,
ლეგენდები და თქმულებები დაეპატრონენ:
გლაჭიას ფარზე ლომი იყო გამოსახული
და თუკი ომი მეტისმეტად გაჭირდებოდა —
გადმოდიოდა აღრენილი ლომი ფარიდან
და გლაჭიაზე წამოსულ მტერს კბილებით ფლეთდა.



უსხო უსხოთა სოფელი

ჯერ უძრავად დევს ქვა ქვაზე და კითხვა ესევითარი:
— რა ხნით მაქვს გამონერილი წერა-მწერელის ქვითარი,
კიდევ რამდენ ხანს ვიქნები ტკივილის ჭვლებით
მდიდარი?..

...
რაც თავი მახსოვს, სიცოცხლეს ვსწავლობ —
მინდა, როგორმე დროის ქარებს შევუწყო ფეხი.
თუმცა დროს კი არა... ეს ორი ფეხი
ერთმანეთისთვის ნორმალურად ვერ შემიწყვია.

გაბიური ცაცხვი ჩვენს ნასახლარზე

სახლი აღარაა. ნანგრევებია. ნამოსახლარი —
და ეს ბებერი ცაცხვიღაა ამ მიდამოში,
ვისაც ამ სახლის ბინადართა ამბავი ახსოვს.
და აი, ისიც ხანმოკლე მოხუცის დარად,
ერთ და იმავეს ჰყვება და ჰყვება:
...ასე თქვა იმანო, ასე უპასუხა ამანო...
...ასე მიეჭრა ის იმას კარზე
და იმან ტყვია დაახვედრაო...
...სისხლი ემართა, არ შეარჩინეს,
ქუმლისციხესთან წამოეწივნენ
და ფოცხვერამვილს ჩაუღუნეს თავი ქვითაო...
...ჭიდილაშვილის დახვერტაც მახსოვს:
ესროდნენ, მაგრამ არ იქცეოდა,
მთასავით იდგა, მუხასავით გაიბოტიტა,
შვიდმა ტყვიამ რომ ვერ წააქცია, მერვე ესროლეს.
ბოლოს ნაიქცა — სალი კლდე რომ ჩამოიშლება,
ისე დაეცა
და ისეთ გმინვით ამოიგმინა —
გაიფიქრებდი, დედამინამ დაიკვნესაო...
...ვეფხვივით იყო ქალი ხვარამზე,
ვეფხვივით ლამაზი, ვეფხვივით საშიში;
სიყვარულითაც ვერვინ შეებდა,
გაუთხოვარი დარჩა ხვარამზე...
...ამზეურებს ჩვენი ცაცხვი
დროის სკივრში ჩაობებულ ამბებს,
წვიმას, თოვლს და ქარს ებაახება.

ზოგჯერ მთვარესაც მოიგდებს ხოლმე
ბებერ ხელებში და ეუბნება:
— შენც ხომ გახსოვსო, — მთვარეს იმონმებს;
...მეც არა მტოვებს უყურადღებოდ —
ისლავა ჩემი მასპინძელი და ხმის გამცემი,
ცრემლებს მიმშრალავს ფოთლებით და თან მანუგეშებს.

მორს გაცურა და მერე ველარ დაბრუნდა უკან

ასეთი იყო მისი სიყვარული —
ის შეუყვარდა, ვინც არ უნდა შეყვარებოდა,
ვის სიყვარულსაც ადათი და წესი კრძალავდა —
მორს გაცურა და მერე ველარ დაბრუნდა უკან.
...სამ დღეს ვეძებთ.
ბოლოს, ტყის პირას,
ერთი იფნის ქვეშ ვიპოვეთ მკვდარი.
ინვა მინდორში მიმინარესავით.
ჭიქაც იქ იყო — სანამლავი გამოეცალა.
შხამის წვეთილა შეხმობოდა ზაგზე ლურჯად.
— წერილი, წერილიო, — წერილს ეძებდნენ.
წერილი არ იყო —
ისედაც ყველამ ყველაფერი კარგად იცოდა —
ის შეუყვარდა, ვინც არ უნდა შეყვარებოდა...
მორს გაცურა და მერე ველარ დაბრუნდა უკან.
— გულსაც აღვირი სჭირდებოდა,
არც გული უნდა მიუშვაო თავის ნებაზე! —
თქვეს მოხუცებმა ასაკობრივ თავდაჯერებით.
— მაშინ ისიც თქვით, რა ჯაჭვებით დავაბათ გული! —
ვიფიქრე ჩემთვის და შევხედე გაყინულ ზეცას.

თითქოს ჭინჭარში

რა უდიერად დაიძახეს შენი სახელი! —
მთები დანისლეს, გადაკეტეს უღელტეხილი.
...
ამ ვარსკვლავით მოკაშკაშე სახეს და სახელს
შხამის და ბოლმის ნიაღვარი გადმონათხიეს;
რა საშინელი სისასტიკით გამოაცხადეს:
— გამოვიტანოთ სინათლეზე მათი ცოდვები! —
თითქოს ჭინჭარში ჩაისროლეს ჩვენი გულები,
თითქოს ჩვენს მთვარეს ჭრელი გველი შემოეხვია,
რა უდიერად დაიძახეს შენი სახელი! —
დამბლადაცემულ ტრადიციის ხმა იყო ეს ხმა —
მათ არ ინამეს მთვარის ლოცვა და ენძელების
საგაზაფხულო ამოსვლა და ამომხვევება.
როგორც კლდეს მეხი — მეც არ მიკვირს ეს ქვების
სროლა,
აღარაფერი აღარ მიკვირს! — მე ხომ იქა ვარ,
სადაც ვარსკვლავებს ხოცავდნენ და დღესაც ხოცავენ...
...
რა უდიერად დაიძახეს შენი სახელი! —
მთები დანისლეს, გადაკეტეს უღელტეხილი.

აბრია გაბილაური

გაბილაური შეეზარდა ჩაკეტილ სივრცეს,
სიმარტოვეს შეერწყა და შეეზარდა იგი.
მის კარზე აღარ აკაკუნებენ.
აღარ ჩერდება მის ჭიშკართან ფოსტალიონი.
თავის დღე-ღამეს, როგორც უღელ ხარს,
მიერეკება და მიათრევს თავის სიცოცხლეს.
მიდის და მიდის საკუთარი დასასრულისკენ.
მას არც სიკვდილი გაუჭირდება.
მარტოობიდან — მარტოობაში,
უკვე შეჩვეულ „ცხოვრებაში“ გადავა იგი.
...ის ახლაც მარტო მისჯდომია სავახშმო სუფრას,
მარტო სვამს არაყს... აქა და აქაც არაა...
ფიქრობს... ვილაცას უყურებს და უღიმის ფიქრში.
ვინ იცის, იქნებ, სიყვარული კვლავ ამოდუღდა —
სადღაც სივრცეში მარტოსული ხედება მარტოსულს,
როგორც ჭრილობა — ჭრილობას და
ისარი — მიზანს...
...სახლში ჭოტის ხმა შემოვარდა შავ ისარივით
— მოხვე მშვიდობით! — ეუბნება ამ ხმას აბრია
და ჭიქას იღებს: — გაგიმარჯოს, ბებერო ძმაო,
ცოტა ხანს უნდა ავიტანოთ ეს გასაჭირი,
ცოტა კიდევ და ჩვენი მხსნელის წერილიც მოვა.



სიზარქნე გვრიტიანის გვრიტიანებისა (იუმორივით)

— ადამიანი როცა კვდება, რა რჩება მისგან?
 — დაცლილი ჭიქა!
 ამ სიტყვა-პასუხს მახვილივით დაატარებდა გვრიტიანე გვრიტიანი. როდესაც სასმისს ასწევდა და გადინურავდა, ლუკმის მაგიერ დააყოლებდა:
 — ადამიანი როცა კვდება, რა რჩება მისგან?
 — დაცლილი ჭიქა!
 არავინ იცის, სად გაიგო, სად ნაიკითხა გვრიტიანე ეს „სიბრძნე“. ჩვენთან ამბობდა — ბერძნებისგან ნათქვამიაო, სხვასთან კი უთქვამს — ფრანგებისგან გავიგონეო. ავტორიცა და შემნახავიც გვრიტიანი იყო. ...და აი, ახლა გვრიტიანული გარდაიცვალა, უცრად მოკვდა, ნასმურევეზე „გაექცა გული“. ცოცხლებს მკვდრის მიმართ რაც ევალებათ, იმას ვაკეთებთ. პატივს ვცემთ გვრიტიანს — ღირსეულად გვსურს გასტუმრება. თუმცა... კვიმატ ფიქრს რა გამოლევს, გვრიტიანი, ბატონო?! — უკვე ნასულ კაცს გისტუმრებთ და ვერ გაგვიგია: შენ არც იქა ხარ, არც აქა ხარ, აბა, სადა ხარ?!
 — ადამიანი როცა კვდება, რა რჩება მისგან?
 — დაცლილი ჭიქა!..

რას ეუბნება ცა დედამიწას?..

რას ეუბნება ცას დედამიწას,
 როცა ნისლეები ადიან ზევით?
 რას ჩურჩულებენ, რა ამბავი ააქვთ ზეცაში?

რას ეუბნება ცა დედამიწას,
 როდესაც მუხას ეგრიხება ელვა ქალივით?
 და მუხა კვდება — სიყვარულის ხელებში იწვის!

რას ეუბნება ცას დედამიწას,
 როცა ვულკანი ბოროტების კვირტივით სკდება?
 — რა ვერ ეტყევა მიწაში და რა ადის ცისკენ?

რას ეუბნება ცა დედამიწას,
 როცა ვარსკვლავებს საბანაოდ აგზავნის ტბაში?
 რას მიანიშნებს, რას იხსენებს, რას ვერ იხსენებს?

რას ვეუბნებით ჩვენ ერთმანეთს,
 რაღა გვავრთებს განშორების დიდ ტრამალებში?
 და რაღა ავსებს თავზარდამცემ სიცარიელეს?

— ცა დედამიწას ეუბნება: მე შენ მიყვარხარ!
 — ცას დედამიწა ეუბნება: მე შენ მიყვარხარ!
 ...და მეც ჩურჩულით გუებნები: მე შენ მიყვარხარ!

დიქტატორის მსვერვალი — 1994 წელი

...და, აი, ისიც! ხომ ააღნიე, ხომ გადმოხედე მტკვრის ხეობას მაგ მწვერვალიდან, ხომ დაჩნდენე ჭიაღუბივით ქალის სოფლები! მწვერვალზე დგახარ, გილოცავენ გამწვერვალეებს. დიდი ზემის ბურუსით ხარ გარემოცული და დოლ-გარმონის ხმა გამოდის თავის ქალიდან. ...მაგრამ მუდმივად მაგ მწვერვალზე ვერ გაჩერდები; რაა მუდმივი, რომ ეგ იყოს სამარადღამო? წასვლის დრო მოვა, მაგრამ სად წახვალ? — ზევით ვერ ახვალ — ჰაერზე ხომ ვერ ააბიჯებ?! გვერდზეც ვერ გახვალ — უფსკრულებში ჩაიჩხები. სხვა გზა არაა — ძირს უნდა ჩაძვრე, იქიდან როგორც ამოცოცდი, უნდა ჩაცოცდე. ალტერნატივა ირონიით გიმზერს თვალებში — ან ჩავარდები, ან ჩაძვრები, ან ჩაგაგდებენ...

„ირმების ღამე“

მოდი, დავარქვათ ჩვენს სიყვარულს „ირმების ღამე“, „ციცინათელის ამოფრქვევა“ დავარქვათ თუნდაც... მოდი, დავარქვათ ჩვენს სიყვარულს „დეკის სიმღერა“, „იების ჩუმი ამოპარვა“ დავარქვათ თუნდაც... მოდი, დავარქვათ ჩვენს სიყვარულს „აპრილის სუნთქვა“, „ორი ფრინველის ცაში ასვლა“ დავარქვათ თუნდაც... მოდი, დავარქვათ ჩვენს სიყვარულს „მთვარის შრიალი“, „ზევიდან ქვემოთ ჩამოსული ზეცა“ დავარქვათ. „მწარე ამბავსაც“ დავარქმევდი, „შხამიან გზასაც“, მაგრამ ცოდვას სიყვარული, ამ საზარელი სიტყვებისთვის ნუ გავიმეტებთ, ნუ გავწირავთ და ნუ გავკიდებთ სახრჩობელაზე, სიყვარული ხომ... თუკი ზოგჯერ ლომივით ბრდღვინავს, ზოგჯერ ნავივით ილუპება უეცარ ქარში. სიყვარული ხომ ისაა, ერთად სამნი რომ შეჰფარებიან იისფერ ღამეს — სამნი — მთვარე და ორი ირემი — რომ გაჰყურებენ იის სუნით გაჟღენთილ ღამეს... მოდი, დავარქვათ ჩვენს სიყვარულს „ირმების ღამე“.

ზაცის სტუმრები

ცაში ავეყვით ერთმანეთს — ცად სიყვარულმა გვაქცია მერე კი ზვიმის ღრუბელმა ზვიმებად ჩამოგვაქცია.

...
 არც ზღაპრები და არც ლეგენდები!
 ჩვენ იქ ვიყავით — იმ ლურჯ გზებზე მიმოვდიოდით, ჩვენ იქ ვიყავით — იმ ლურჯ ნყლებში მიმოვცურავდით, ჩვენ დავინახეთ ადამი და იქ იყო ევაც. ოქროსფერ ცაში და ვარსკვლავებში, ვერცხლისფერ ნისლში და სიმღერებში, ქარვისფერ ქარში და სიყვარულში დავფრინავდით და ვსრიალებდით ქარვისფერ ფრთებით. არც ის გვახსოვდა, როდის ავფრინდით, არც ის — რა ძალამ მოგვწყვიტა მიწას, არც ის ვიცოდით, ფრენა როდის დასრულდებოდა. ...და როცა მიწას დავეხეთქენით — ჩვენივე ფრთების ნამსხვრევებმა ჩაკეტეს ზეცა, ჩვენივე ფრთების ნამსხვრევებმა დაფარეს მიწა. ...სადაღაც, ჩვენს ახლო ადამი და ევაც დაეცნენ, ...
 ცაში ავეყვით სიყვარულს, სიყვარულმა ცად გვაქცია, მერე კი ზვიმის ღრუბელმა მიწაზე ჩამოგვაქცია.

ბურსაჭილი — 1990 წელი

ალარც ხარი და ალარც მარხილი;
 ალარც ხანჯლების და ცელების გამოეღვება;
 ალარც ცხენების გამოთება მოსახვევებში;
 ალარც სიცოცხლე, ალარც სიკვდილი...
 მხოლოდ ეს დარჩა — ქარი და ნისლი, მხოლოდ ეს დარჩა — დაღრუბული დღეების დენა და... კიდევ შამბი — ისე ლაღად, ისე უტიფრად გადაფოფრილი წინაპართა საფლავის ქვებზე, რომ უცნაური გაფიქრებით, ამასაც იტყვი: — ნეტავი წესად შემოიღონ, რომ მკვდარ სოფელსაც, როგორც გარდაცვლილ ადამიანს, ასაფლავებდნენ!.. ძნელზე ძნელია დაუმარხავ მკვდრის გვერდით ჯდომა, ძნელზე ძნელია მოყრანტალე ყორნების მზერა, რომლებიც სიკვდილს ცხრა მთის იქით იგებენ გეშით.

ამ შავითივით შავ ღამეში...

ეს ხომ ის სიყვარულია, ზეცას რომ შეეხიდება, რასაც ვერც წყალი წაიღებს, არც ცეცხლი წაეკიდება. ...
 ამ წერილს შორი-შორიდან ვგზავნი, ზღაპრებში როა — ცხრა მთა, ცხრა ზღვა, ისე შორიდან... სიშორის ჩემი ნაპირიდან ვგზავნი ამ წერილს და არც კი ვიცი შენს ნაპირზე მოვა, თუ — არა. ამ სიშორეში ქარიშხალი მგელივით დაძრწის და ამ უკუნი ღამეების ოკეანეში სინათლის ერთი ნაპერწკალიც არ გაერია; მხოლოდ და მხოლოდ შავი ისრის სტვენა ისმოდა და ზარნაშოს ხმა სიკვდილის ხმას ბაძავდა თითქოს... — რა უნდა გითხრა ისეთი, რომ ჩემმა ნათქვამმა ამ შავითივით შავ ღამეში გამოაღწიოს? — ალბათ, ისევე ეს სამი სიტყვა: მე შენ მიყვარხარ! — ცა-ვარსკვლავეთში ნუგეშით რომ ავარდნილა; — ალბათ, ისევე ეს ორი სიტყვა: არ დამივიწყო! — ჩემი მუდარა, ჩემი ლოცვა, ჩემი ვედრება...
 ...
 ეს სიყვარული ისაა, ზეცას რომ შეეხიდება, რასაც ვერც წყალი წაიღებს, არც ცეცხლი წაეკიდება.

ოდა... ოდასღაც

ნუ დამშლი, ნუთისოფელო, ამ მზისთვის მაყურებინე; არადა, რატომ მოვედი — ის მაინც გამაგებინე!
 ...
 არა, ქედანი არ დუღუნებს, არც შურთხი უსტვენს — ეს სალომეა, სალომე მღერის და ჩემს ბილიკზე გაფენილა მისი თვალები. სალომე მელის.
 მეც მალე მოვალ — მისკენ ფრთები მიმაქროლებენ, სათიბებიდან ვბრუნდები და სალომესთვის ნითელი მოცხრის ტოტები და შლიშავი მიმაქვს. არა, ქედანი არ დუღუნებს — სალომე მღერის. ...მაგრამ, ეჰ, ეს ხომ მირაჟია, ეს ხომ ოდესღაც, ოდე... ოდესღაც და ძალიან ოდესღაც იყო.
 ...
 ნუ დამშლი, ნუთისოფელო, ამ მზისთვის მაყურებინე; არადა, რატომ მოვედი — ის მაინც გამაგებინე.


სიმღერა

(ასე ნავიკაფიავით მე და ლეომ, ცოტა შემთვრალეები რომ ვბრუნდებოდით ილიკოს დაკრძალვიდან.)
 — მიდის ხალხი ზემოთიდან ქვემოთკენ, ქუხს მიქაელ-გაბრიელის ქვემეხი;
 — გარდაცვლილი ორი „პურისჭამაა“, ქელები და ორმოცი, ორმოცი და ქელები;
 — მიდის ხალხი ზემოთიდან ქვემოთკენ, ქუხს მიქაელ-გაბრიელის ქვემეხი.

— ჩადის ხალხი ზემოთიდან ქვემოთკენ, ილექება აუვსებელ ორმოში;
 — გარდაცვლილი ორი „პურისჭამაა“, ორმოცი და ქელები, ქელები და ორმოცი;
 — ჩადის ხალხი ზემოთიდან ქვემოთკენ, ილექება აუვსებელ ორმოში.

კანარის ჩიტი

აი, გალია, რომელშიც ახლაც ზის სიყვარული — მოწყენილი კანარის ჩიტი.
 ...
 ზღვაში ტალღების გრგვინვას ჰგავდა ის სიყვარული — ვერ გავდიოდი ცეცხლისაგან ჩაკეტილ წრიდან და თვალებიდან — შენგან დანისლულ ხეობიდან ვერ გავდიოდი... როგორც ზაფხული, რომელიც ერთი კარიდან გადის და მეორით — ისევე შემოდის, მეც ვერ გტოვებდი — მივდიოდი და ვბრუნდებოდი; შენ სულ იყავი — ხან ღრუბელთან, ხან — ღია ცაში, სულ მთვარესავით ილეოდი და ივსებოდი. დავარქვათ ამას სიყვარული?! ერთი მითხარი ამ მენტატებას სიყვარული როგორ დავარქვა?!
 ...
 აი, გალია, რომელშიც ახლაც ზის სიყვარული — მოწყენილი კანარის ჩიტი.




მარადისობის განრიბი

ქალაქის თავზე გიგანტური ღრუბელი დადგა, თავზე დაგვეყურებს სიბრალულით და ირონიით... მე გავიფიქრე, მარადისობაც ალბათ, ამგვარად დაგვეყურებს-მეთქი. ღრუბელს რაღაცის თქმა უნდა და ვერ მეუბნება — რისი თქმა უნდა? ალბათ, უნდა, რომ პირდაპირ მითხრას: — ნუ იყურებით წარსულისკენ, როგორც სიღრმისკენ, ნუ გგონიათ, რომ სადაღაც ძირს დარჩნენ ბაბილონი და ნინეია, კართაგენი და ალექსანდრია; უნდა რომ გვითხრას — გაიხედეთ ჰორიზონტისკენ, წინ არ მიდიან, მაგრამ სჯერათ, რომ წინ მიდიან, არადა, მხოლოდ ამოდიან და კვლავ ჩადიან. ეს ტრამალები მარადიულ ქარებს უყურიათ და გუშინდელ დღეს მარადიულ წესის მიხედვით, ასაფლავებენ, დასტირიან, მიწას აყრიან; სპარსთა, მონღოლთა ადიდება — ცხენების თქემი, ვარიაგების და ჰუნების მტვრიანი გზები ამ მესაფლავე ქარებმა დაფლეს... უნდოდა ეთქვა, მაგრამ არა თქვა — მარადისობის ენა ვის ესმის?! მარადისობა მარტო იყო და გაჰყურება, როგორ ებრძოდნენ მესაფლავე ქარები გმირებს, როგორ ებრძოდნენ მესაფლავე ქარებს გმირები... უდაბნოს გზას მიჰკვალავდა მოსე, კოლხეთისკენ მიცურავდა „არგო“, ბაბილონელნი თიხას ზელდნენ ფირფიტებისთვის, ხოლო პოეტი გილგამეშის პოემას წერდა. ...ახალ-ახალი ბელალები ამოდიოდნენ და ურდოები ამოჰყავდათ მიწის სიღრმიდან — აშენებდნენ და კვლავ ანგრევდნენ, აშენებდნენ და ისევე ანგრევდნენ, აშენებდნენ და აშენებულს ცეცხლს უიკიდებდნენ. გიგანტურ ბომბებს აკეთებდნენ ასაფეთქებლად — თან სიყვარულის სიმღერებს წერდნენ... მომავლიდან მოდიოდა წარსული და მოსდევდნენ მესაფლავე ქარები... ...უნდოდა ეთქვა, მაგრამ არა თქვა — აბა, მის ენას და მის ნათქვამს ვინ გაიგებდა?!

ზაფხულის ღამის იერობლივი

ღამე აცოცხლებს ვარსკვლავებს და ციციწათელებს — ღამე დედაა, დღე კი მათი სასაფლაოა. ღამით იმლება საქორწილო სუფრა ზეცაში და ღამე ავსებს სიყვარულით მაღალ სასმისებს. ციდან ღამაში პატარძლების კისკისი ისმის... ეს მამინ, როცა დღე მიდის და ღამე შემოდის შავი ღვინით და ცეცხლოვანი ფრთების ფრიალით... ალბათ, არ უყვართ ერთმანეთი დღესა და ღამეს და ერთმანეთს არ ეხლართება მაგათი გზები, ვერ ჩატკებიათ ერთმანეთში, ვერ ჩადნებიან და ერთ ლოგინში ვერასოდეს ვერ ჩათბებიან... ღამე აცოცხლებს ვარსკვლავებს და იეროგლიფებს — ვინ წაიკითხავს სიყვარულის ცეცხლში გახვეულ ზაფხულის ღამის ნაუკითხველ იეროგლიფებს?!

Nobelprize.org	
Nobel Prizes, Alfred Nobel Prize Announcements, Nomination	
The Nomination Database 1 in Literature, 1901-1950	
Year:	1932
Number:	28-0
Nominee:	
Name:	Grigol ბოსაძის
Gender:	M
Year, birth:	1884
Year, death:	1962
Profession:	Author
Country:	SU (U. S. S. R.)
Nominator:	
Name:	Richard Mecklein
Gender:	M
Profession:	Professor at the S
Affiliation:	University of Berli
City:	Berlin



იოსებ ბოსაძის (1872-1959)



გიორგი გოშავა (1859-1945)



ლაშა პალაუნძის (1883-1933)




იოსებ გოშავა (1870-1953)



მანუელ გალასტ'იანი (1882-1962)



ზორა გოლშტეინი (1867-1933)



ბარტოლომე გვცალაძის (1878-1947)



ვანო ლარიონოვი (1867-1941)

პაატა ნაცვლიშვილი

ბ რ ი ბ ო ლ რ ო ბ ა ქ ი ძ ე

მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში რობაქიძის სახელი ძირფესვიანად იყო ამოგლეჯილი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიიდან. ბიბლიოთეკებში არ იყო არათუ რობაქიძის ნიგნები, არ იყო ჟურნალ-გაზეთების ის ნომრებიც კი, სადაც მისი რაიმე ნაწარმოები იყო დაბეჭდილი. ის ჟურნალ-გაზეთებიც კი ამოვლოთ, სადაც მისი გვარი თუნდაც ჩამოთვალა იყო ნახსენები. თუ სადმე შემთხვევით ან სპეციალური ნებართვით ესა თუ ის ძველი ჟურნალი ხელში ჩაგვარდებოდათ, რობაქიძის გვარი ისე საგულდაგულად იყო გადაშლილი, როგორც ლავრენტის ბენიასი. იმდროინდელი გამოცემის მხოლოდ საოჯახო ბიბლიოთეკებში იყო მოსალოდნელი.

უნახავს და გაუანალიზებია სახელეების მიმოქცევიდან ამოღების პრობლემა. რალა ნიგნების დანვა ფაშისტურ გერმანიაში და რალა სახელების ამოღება ბოლშევიკურ საბჭოეთში! საბჭოთა ტოტალიტარიზმი თავის უხეშ ცელს საქართველოში მაინც განსაკუთრებული სისასტიკით იქნედა. „საბჭოთა საქართველოში მე „არ“ მახსენებენ. თუ „ვერ“ მახსენებენ, – წუხდა გრიგოლ რობაქიძე, – ღმერთი, რჯული! მე არავის ვეძღვები, მახსენოს მაინცა-და-მაინც. ვინც მე მცნობს, უმაღლეს დაიჯერებს ამას. ვერ გამიგია მხოლოდ ერთი რამ: რუსეთში ივან ბუნინის ნაწარმოები ათათასობით აქვეყნებენ – საქართველოში გრიგოლ რობაქიძის სახელის ხსენებასაც გაუბიან. დავიჯერო, ბუნინი ჩემზე უფრო ნაკლები „ახტი“ იყო?! „ახტი“ – არ უნდა ამას განმარტება.) აქ შესაძლოა ვინმე თქვას: „ბუნინი ბუნინია“ და... „ჭინკამ“ წამოყოს თავი (ეს ჯიში კაცუნათა ალბათ ჯერ კიდევ არ გადაშენებულა).“

საბჭოთა მწერლების კავშირისა“. ზემოთ ციტირებული ფრაგმენტი სწორედ იმ წერილიდანაა. აი, მისი გაგრძელება:

„ახლა მოვისმინოთ გულგებულები ჩინკის პასუხი კითხვაზე: რატომ ბუნინი რუსეთში „ისე“ და რობაქიძე საქართველოში „ასე“? მესმის მისი სიტყვა დიდრადული: „ბუნინი, ბატონო, ბუნინია და...“ აქ პავუნას უმჯობეს: იცის, უფრო მეტყველია. ვხედავ: მარცხენა ნარბი ოდნავ შეუკუმშავს – ეს ირონიისათვის. ჭინკის ბუნება რომ ვიცის, ვხედავთ მყისვე: რომ ბუნინი მას ისე აინტერესებს, როგორც „შარშანდელი თოვლი“. ბუნინით მას მხოლოდ ეს სურს: მე „წამკრას“. გარდა ჩემი „წაკვრა“ არც ისე ადვილია და აი, რატომ. (საჭიროა ქვემოთ გაუწყლოთ თქვენ და ყველა თქვენ თანამოკალმებებს.) 1933 წელს ბუნინს არგუნეს ნობელის ჯილდო, საკუთრივ ნიგნისათვის „ჟიზნ არსენიევა“. ეს ნიგნი გადათარგმნეს გერმანულად – გამოვიდა სხვა სახელით. ახლა მოვინახოთ კვირეული „Die Woche“, რვეული: 1934, ივნისის 4. პირველ გვერდზე ნავიკითხავთ რეცენზიას სხეუნეზე ნიგნისა, საცა შემდეგია ნათქვამი: „რომ არ ვიცოდეთ, რომ ავტორი ლაურეტია ნობელის, განხილვა ჩვენი მოლოდინის ნაკლები იქნებოდა. ის, ვინც შესძლება მარად რუსეთის გადამოცემას, არის ავტორი რომანისა „Die ermordete Seele“: გრიგოლ რობაქიძე. სიტყვა სიტყვით. დავტოვოთ განზე, მართალია თუ არა რეცენზენტის აზრი. მით უფრო, რომ: ერთი, ჩემი შემოქმედება სრულიად სხვაა, ვიდრე ბუნინისა, რომელსაც მე, რა თქმა უნდა, დიდად ვაფასებ; მეორე: „მარადი რუსეთი“ ჩემი თემა არაა: (ავტორს ალბათ რუსი ვეგონე, რაც სხვათა შორის, მიუდგომლობას მისსა აძლიერებს.) დავტოვოთ განზე, მართალია თუ არა რეცენზენტის აზრი და ჩვენი ყურადღება მხოლოდ-და-მხოლოდ ფაქტზე შევაჩეროთ, ფაქტზე ასეთი აზრის გამოთქმისა, კავიერეებით. რა დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ჩემს რომანს რეცენზენტზე, რომ მას, რომანს, მისს სჯავში ნობელის პრემიით დაგვირგვინებული ნიგნი ასე დაეჩრდილა?! (ვხედავ: მოლანდებული „ჭინკა“, კუდა მოძუებული, გაპარვით გვეცლება.)“

ჩანს, ვერა და ვერ მოენელებინა მისი დაჯილდოება ნობელის პრემიით. ქართულ სალიტერატურო და მოლიტერატურო წრეებში არაერთხელ მომისმენია რობაქიძის ნობელის პრემიაზე წარდგენის ამბავი, რაც არსად არავითარი წყაროთი არ იყო დადასტურებული. ამბობდნენ, რომ თითქოს რობაქიძე სწორედ ბუნინთან დამარცხდა სანობელო პაქეობაში 1933 წელს. საამისო საბუთი კი არსად ჩანდა. რობაქიძის შემოქმედების მკვლევარები ფიქრობდნენ და ფიქრობენ, რომ ჰიტლერთან და როზენბერგთან მეგობრობისა არ იყოს, ეს ყველაფერი მითია, რადგან გრიგოლ რობაქიძე თავისი ბუნებით არ იყო ისეთი ადამიანი, ნობელის პრემიაზე წარდგენილ და სადმე სიამაყით და თავმოწონებით არ ეხსენებინა ეს ამბავი. რაიმე სარწმუნო ინფორმაცია არ აღმოჩნდა არც კახმეც კუდავას – ცნობილ გამომცემელს, ნობელის პრემიის ლაურეტათა პოპულარული საგამოცემო სერვისის დამფუძნებელს, ნობელის პრემიების ისტორიის საუკეთესო მცოდნეს.

თუ არ ვცდები, ნობელის პრემიას რობაქიძე სულ ორადორ წერილიმ ახსენებს და ირაკლი აბაშიძისადმი მიწერილი წერილი ერთი იმთავანია. თუ ოდესმე უნდა ეთქვა თავისი ნომინატობის ამბავი, სწორედ ამ წერილში უნდა ეთქვა. ასეთ შემთხვევაში ხომ მისი არგუმენტაცია უფრო ნონადი გახდებოდა. მაგრამ მას არაფერი უთქვამს. არც ამ წერილში და არც მეორეში, სადაც ეს ამბავი უფრო ლოკალური ფუნქციით, მაგრამ არანაკლებ ზუსტად და ლოგიკურად ჩაჯდებოდა.

სალიტერატურო და მოლიტერატურო წრეები კი ისე შევიდნენ ემბში, რომ მწერლობის კულუარებს, სამზარეულოებსა თუ ინტერნეტ-ფორუმებს აღარ დასჯერდნენ და ავერ ახლახან, 2010 წლის მარტში ერთი სოლიდური ჟურნალი გრიგოლ რობაქიძის „მუსოლინის“ ქართული გამოცემის გამო წერდა:

„ნელს გამოცემლობა „ინტელექტმა“ გრიგოლ რობაქიძის „მუსოლინი“ გამოცემა. ნიგნმა, რომელიც გერმანულ ენაზე დაიწერა, თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა და ვნებათაღელვა გამოიწვია. ეს არ იყო მხოლოდ ბიოგრაფიული ნარკვევი, არამედ „არსის ხატი“, პიროვნების სულიერ სამყაროში წვდომის ცდა, სიღრმისეული შეფასება. მკითხველისთვის კარგა ხანს უტყნობი იყო გრიგოლ რობაქიძის, რბილად

რომ ვთქვათ, ერთგვარი სიმპატიები ფაშისტური რეჟიმისადმი. მასვე ეკუთვნის თავის დროზე მოლიონობით ტირანით დასტამბული ნიგნი ჰიტლერზე, რომელიც საქართველოშიც კი გამოცემა რამდენიმე წლის წინათ. მწერალი ჯერ საბჭოთა კავშირში, მოგვიანებით კი ევროპაში დაგმეს, როგორც უმანიზმისა და მორალური ფასეულობების უარმყოფელი. ამავ ენაზე ნობელის პრემიის კომიტეტმა უარი განაცხადა გრიგოლ რობაქიძის კანდიდატურის განხილვაზე.“

აი, თურმე როგორ ყოფილა საქმე!

ნობელის პრემიის კომიტეტს უარი განუცხადებია რობაქიძის კანდიდატურის განხილვაზე!

ჰუმანიზმისა და მორალური ფასეულობების უარყოფის გამო, რაც ჰიტლერსა და მუსოლინიზე დაწერილ მის ნიგნებში შეუმჩნევიათ.

მორალურ ფასეულობებზე და ფაშისტური რეჟიმისადმი სიმპატიებზე სხვაგვარად და სხვა დროს, აქ კი ნობელის პრემიის და მისი კომიტეტისა ვთქვათ:

და საერთოდ: იყო თუ არა რობაქიძე ნობელის პრემიის ნომინანტი? ის უფრო ნიგნი გვიმტკიცებს, წარდგენილი კი იყო, მაგრამ ნობელის კომიტეტმა უარი განაცხადა მისი კანდიდატურის განხილვაზე.

სპეციალისტებს ნობელის პრემიაზე რობაქიძის ნომინატობაში ეჭვი შეაქვთ და იგი ფაქტობრივად მიაჩნიათ.


თავად რობაქიძე კი ამის შესახებ არსად არაფერს ამბობს.

დიდხანს არაფერს ამბობდა არც ნობელის პრემიების კომიტეტი და ყველაფერი ლიტერატურული მითოლოგიის თუ ჭორის სფეროში რჩებოდა, სანამ ნობელის კომიტეტმა თავისი პირველი 50 წლის ისტორია ეტაპობრივად არ განაარქვია და დაფარული ინფორმაცია საჯარო არ გახდა.

2009 წლის 5 ოქტომბრიდან, მანამდე საიდუმლო ინფორმაციის მორიგი დოზის განსაიდუმლოების შემდეგ, ჩვენითვის დანამდვილებით გაირკვა შემდეგი:

თუმცა გრიგოლ რობაქიძე ამის შესახებ არსად არაფერს ამბობს და დღემდე არც სხვა რაიმე სარწმუნო ცნობა მოგვეპოვებოდა, ქართველი მწერალი მართლა წარუდგენიათ ნობელის პრემიაზე!

ეს მომხდარა 1932 წელს, მანამდე, სანამ გერმანიის ხელისუფლების სათავეში ჰიტლერი მოვიდოდა



კოსტის პალამაზი (1859-1943)



რამონ ჰიდალი (1869-1968)



გიორგი როჯაშვილი (1880-1962)




ლევან როჯაშვილი (1869-1935)



კონსტანტინე და ლეონ სერნი (1877-1955)



ფიოდ სილვანიძე (1888-1964)



იატუნ სისქვარი (1878-1968)



კაკაბერ ტულავა (1866-1946)



ივან შვილიძე (1875-1950)



კაკაბერ ტულავა (1890-1938)

ვათ, ლევ ტოლსტოი, აპოლინერი, ჯოისი, რილკე, კაფკა, ლორკა, ბორხესი ან თუნდაც იგივე პოლ ვალერი...

ასეა თუ ისე, ამერიკიდან უკვე ოფიციალურად დადასტურებული ფაქტია, რომ გრიგოლ რობაქიძე არის პირველი ქართველი, ვინც ნობელის პრემიის ნომინანტთა შორის მოხვდა.

თუმცა ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მწერალს მთელი მანამდეელი შემოქმედებისათვის ენიჭება, ცხრა მწერალი ერთი კონკრეტული ნაწარმოებისათვის დაჯილდოვდა. სწორედ ასე მოხდა 1932 წელსაც, გოლსუორსის შემთხვევაში. დაწამდვილებით დღეს მნელი სათქმელია, რობაქიძის კერძოდ რომელი ნაწარმოები იყო ნარდგენილი პრემიაზე: „ჩაკლული სული“, „მეგი - ქართველი ქალიშვილი“ თუ „გველის პერანგი“.

დასხვა დარგში სხვადასხვა დონეზეა განსაზღვრული და სისტემატიზებული. მონაცემთა სრულყოფილი ბაზა ნომინანტთა შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ მშვიდობის დარგში (1901-1955) და მედიცინა-ფიზიოლოგიაში (1901-1951) ნარდგენილი.

სხვათა შორის, განარქივებულ მონაცემთა ბაზაში ნომინანტთა შორის ვერ მოვიძიე ქართველი მეცნიერი ვასილ ვარაზაშვილი, თუმცა აქამდე სხვადასხვა პუბლიკაციით თითქმის უეჭველად ვიცოდით, რომ იგი 1939 წლის პრემიაზე უნდა წარდგინათ მედიცინასა და ფიზიოლოგიაში. როგორც ჩანს, მას ნარდგენამდე ათქმევინეს უარი.

„სამაგიეროდ“ ნომინანტთა გამოკვეთულ ნუსხაში შეტანილია რობაქიძის ერთ-ერთი ნაწარმოების - „ჩაკლული სული“ - გმირი, რუდოლფ კარმანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მისი თანამემამულე და ანტიპოდი“ იოსებ სტალინი. იგი ორჯერ ნარდგენილია ნობელის პრემიაზე - 1945 და 1948 წლებში. პირველად სტალინი ნობელის კომიტეტის ყოფილმა წევრმა, ნორვეგიის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ალდვან კოტმა წარადგინა შვიდ სხვა კანდიდატთან ერთად (კორდელ შალი, ფრანკლინი რუბენი, უინსტონ ჩერჩილი, ენტონი იდენი, მაქსიმ ლიტვინოვი, ედვარდ ბენედი და იან სმატსი), მეორედ კი - პრალის კარლოსის უნივერსიტეტის პროფესორმა ვლადისლავ რიეგერმა. 1945 წელს პრემია ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა კორდელ შალმა მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნაში შეტანილი წვლილისათვის, 1948-ში კი ნობელის მშვიდობის პრემია არავის მიანიჭებია.

თუმცა სტალინი სხვა თემია. რაც შეეხება ჩვენს თანამედროვეებს, ალბათ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, როცა ნობელის პრემიების კომიტეტი დღევანდელ ინფორმაციასაც განასაიდუმლებს და ქართული ნობელისტიკაც ახალ საფეხურზე ავა, ჩვენი მთამომავლები დაწამდვილებით შეიტყობენ, რამდენჯერ იყვნენ ან რამდენჯერ იქნებიან ნარდგენილი ნობელის პრემიაზე ედუარდ შვედენბაკი, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე, ბესიკ ხარაშაული, გია დვალა და სხვა ქართველი პოლიტიკოსები, მწერლები თუ მეცნიერები. ვინდო ამა-სობაში ქართველთა გვარები უკვე ნობელიანტთა სიაშიც მოხვდეს.

მაგრამ რამდენი ქართველი ნობელიანტი და ნომინანტიც არ უნდა შეემატოს ამ პრესტიჟული ჯილდოს ლაურეატთა რიგებს, გრიგოლ რობაქიძე მუდამ პირველი ქართველი იქნება, ვინც ნობელის პრემიაზე წარდგენილია.

დაზუსტებით მართლა ძალიან მნელი სათქმელია, რატომ არსად არაფერი აქვს თავად რობაქიძეს ამის შესახებ ნათქვამი. მან კარგად იცოდა საკუთარი შემოქმედების ფასი, იქნებ - გადაჭარბებითაც. მისთვის არ იყო უჩვეულო თავისი წარდგინების ნომინანტად და სიამაყე, მას უყვარდა თავის გამოჩენა და არცთუ იშვიათად თავის ქებაც და ტრაბახიც. როგორც ჩანს, ნობელის კომიტეტის გასაიდუმლოებული ინფორმაცია ბოლომდე მისთვისაც საიდუმლოდ დარჩა. თავიდან გვერდში უნდა გვედგინო, მაგრამ როცა კიდევ ერთხელ ჩავიხედო მექლანის მიერ ქართველთათვის შედგენილ „გერმანული ენის სახელმძღვანელოს“, დავრწმუნდი, რომ გერმანული ქართველოლოგი სულაც არ უნდა ყოფილიყო დაინტერესებული თავისი წარდგინების გახმაურებაში. საქმე ის არის, რომ სწორედ იმ წლებში, როცა რიხარდ მექლანინმა რობაქიძე ნობელის პრემიაზე წარადგინა, იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა საბჭოთა საქართველოს მთავრობასთან, რასაც ადასტურებს ორენოვანი ნარწერა მისი სახელმძღვანელოს პირველსავე გვერდზე:



რიხარდ მექეიანი (1880-1947)

„ამ ნიგნის ნარმოშობა ეკუთვნის საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო განათლების კომისარის, საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის სექციის აღმოსავლეთ ევროპის შესასწავლ საზოგადოების ინიციატივას“.

მექლანის ამ სიტყვების შემდეგ საკვირველი ის კი არ არის, რატომ არ გაუმხილა მან რობაქიძის ნობელის პრემიაზე მისი წარდგენის ამბავი, არამედ საერთოდ როგორ გამოჩინა ასეთი თაოსნობა. მან ხომ სხვაზე კარგად უწყოდა, რა რეაქცია შეიძლება გადგება და ამადაც არაფერი უთხრა რობაქიძეს.

საერთოდ, ვფიქრობ, რომ ჩვენ ჯერჯერობა არ ვიცნობთ და არ ვაფასებთ რიხარდ მექლანის, რომელსაც დიხხაც ბევრი აქვს გაკეთებული ქართული საქმიანობის ევროპაში. თუმცა მის შესახებ ინფორმაცია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც არის შეტანილი და 1970 წელს სარა ჭიჭინაძის ბროშურაც გამოიცა, ჩანს, აკრძალული მწერლის ნაწარმოებების თარგმნისა და პოპულარიზაციის გამო, მის სახელსაც არა ისეთი მკაცრი, როგორც თავად რობაქიძისას, მაგრამ მაინც ტაბუ ედო. ტაბუ და აკრძალვა მაშინ გუნახათ, რობაქიძის ნობელის პრემიაზე წარდგენის ამბავი რომ გახმაურებულიყო! შეიძლება ერთადერთი არა, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, რომ მისი ჩავიდა საფეხებზე 1948 წელს, რომ მის მიერ რობაქიძის წარდგინების ამბავი არავის გაუმხილა, ესეც იყო.

რობაქიძემ კი, თავის მხრივ, თუმცა ჭორად აღბათ გაგებულ შქონდაც ამბავი, ოფიციალური რამ დამადასტურებელი საბუთის უქონლობის გამო ნობელის პრემიაზე მისი წარდგენის ამბის გახმაურება, თავისი ხასიათის მიუხედავად, არ ინდობა.

არადა, კარგად უწყოდა, რომ ნობელის პრემიის ნომინანტობაც კი ცოტას არ ნიშნავს სამწერლო რეპუტაციის თვალსაზრისით. ნიკოს კაზანდაკისზე საუბრისას, კერძო წერილშიც კი აკი საგანგებოდ უსვამს ხაზს ბერძენი მწერლის ნომინანტობას. „ავტორი გარდაიცვალა 1957 წელს. იყო კანდიდატი ნობელის პრემიისა“, - სწერს იგი 1962 წლის აგვისტოში ემიგრანტ ქართველ პოეტს გიორგი გამყრელიძეს, როცა სიამაყით უამბობს კაზანდაკისის ის-ისაა გამოსულ ახალ ნიგნზე „ტოდა-რაბა“, რომელშიც რობაქიძე თავისი სახელითა და გვარით

არის მოხსენიებული, - „რომანში გამოყვანილი ვარ მეც. ორ გვერდზე ჩემზე სიტყვა. საარაკო ამბავი: „რომანში“ წამდილი პიროვნება და ისიც ჯერ კიდევ ცოცხალი!“

რომ სცოდნოდა, განა აქ მაინც არ ახსენებდა თავის ნომინანტობას, სადაც კაზანდაკისის ნომინანტობით ლამის თვითონ იწონებდა თავს? თუ სხვის კანდიდატობას საგანგებოდ აღნიშნავს, თავისას რაღა დამალავდა?!

მაშინაც კი, როცა ირაკლი აბაშიძის წერილს წერს და თავისი სახელის რეაბილიტაციას ცდილობს, მსოფლიო ლიტერატურაში თავისი ადგილის მოსაწივანად, მუნიხანად და-დასტურებული რისკის ფასად გადვადგა და ამადაც არაფერი უთხრა რობაქიძეს.

„უთვალავ ნიგნებში საბჭოეთზე ჩემი რომანი ყველაზე მეტად გამორჩევა. იგი შექმნილია „მესამე ნაპირზე“ - მექლანის მესამე ნაპირზე აქვს, უხილავი... რას ნარმოადგენს თავის-თავად „მესამე ნაპირზე“ დგომა - ფილოსოფიური ახსნა შორს ნავიყვანდა. სიტყვას ასევე მოვიათავებ, რომ ხსენებული რომანის „ბიოგრაფიითგან“ ერთი ფაქტი არ მოვიყვანო. ომის წინ შევედრემა ურთულამა UDIN ანკე-შვამართა. ლიტერატურათმცოდნეთ უნდა დავსახელებათ სამი უმნიშვნელოვანესი ნიგნი ჩვენი დროის მსოფლიო ლიტერატურაში დასაბუთებით არჩევისა. ამ სამში იქმნა მოქცეული ჩემი „Die Gemordete Seele“ გამოჩენილი ავტორის მიერ: S. Neander Nilson“.

და რომც სცოდნოდა, რომც ყოველ წელს ეძახა, ნობელის პრემიის ნომინანტი ვიყავიო, ეს ველარაფერს შეცვლიდა მის ცხოვრებაში.

ლტოლვილი მწერლის ყველა მცდელობა მშობლიურ ლიტერატურაში დაებრუნებინა საკუთარი სახელი, უმედეგოდ დასრულდა.

ამაში მას ვერც ნობელის პრემიის ნომინანტობა დაეხმარა.

ნობელის ნომინანტობის დაწერისთანავე რამდენიმე თვის შემდეგ კი, 1962 წლის 19 ნოემბერს გრიგოლ რობაქიძე გარდაიცვალა.

ხოლო მის სახელს ტაბუ მთელი მეოთხედი საუკუნის შემდეგ, 1987 წელს ახსნა.

მას მეფე გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება და მისი ბიოგრაფიის უცნობი ეპიზოდები ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ბრუნდება საქართველოში.

ნობელის კომიტეტის განარქივებული დოკუმენტაცია კი გამოწვეულივით შესწავლას მოითხოვს.

ირმა რაციაანი:

„აუსილუბლად მომენატრება იაპონური სამყარო“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი;

მრავალი საერთაშორისო ლიტერატურათმცოდნეობითი საზოგადოების წევრი, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოებისა და 70-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი;

ავტორი ესეისტური წიგნისა „იაპონური დღიურები“ (2000 წ.) და მხატვრული თარგმანისა კომენტარებით „ასი უძველესი იაპონური ლექსი“.

— ქალბატონ ირმა, ახლახან ისრაელში გამართულ ლიტერატურისმცოდნეობის საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობდით. საინტერესოა, რატომის თავერილობა იყო და, საერთოდ, როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდით?

— დიახ, მაისის პირველ კვირაში ისრაელში, არიელის საუნივერსიტეტო ცენტრში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „ინტელექტუალები და ტერორი: ფატალური მიზიდულობა (წარსული და აწმყო, თეორიისა და ისტორიის ასპექტები)“, რომელზეც მინვეული ვიყავი მომხსენებლის სტატუსით. კონფერენცია ინტერდისციპლინარ ხასიათს ატარებდა. მასში, ლიტერატორების გარდა, ჩართულნი იყვნენ პოლიტოლოგები, სოციოლოგები, ისტორიკოსები და, შესაბამისად, სამეცნიერო დისკუსიებიც პრობლემათა ფართო სპექტრს მოიცავდა. ეს იყო ძალიან საინტერესო ფორუმი, სადაც საშუალება მომეცა, შევხვედროდი კოლეგებს, გვესაუბრა ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემებზე, ქართული ლიტერატურათმცოდნეობის დღევანდელ მდგომარეობაზე, აგრეთვე, სამომავლო პროექტებზე.

— როგორ შეაფასეს საზღვარგარეთელმა კოლეგებმა ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ შარშან ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია?

— ისრაელში გამართული კონფერენცია წარმოადგენდა ერთგვარ გაგრძელებას იმ სამეცნიერო კონფერენციისა, რომელიც გასულ წელს ჩატარდა საქართველოში, თბილისში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ინიციატივითა და რუსთაველის ფონდის (ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის) მხარდაჭერით. კონფერენციამ, რომლის სახელწოდებაც იყო „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი (მე-20 საუკუნის გამოცდილება)“, თავი მოუყარა მეცნიერებს მსოფლიოს თვრამეტი ქვეყნიდან. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და აქტუალური სამეცნიერო ფორუმი, რომელიც კი ბოლო პერიოდში ჩატარებულა საქართველოში. მეცნიერები ყოფილი საბჭოთა სოციალისტური ქვეყნებიდან, ამერიკიდან, ირანიდან, ინდოეთიდან სამი დღის განმავლობაში მსჯელობდნენ გასული საუკუნის ისტორიულ და კულტურულ გამოცდილებაზე, თავიდან აფასებდნენ პროცესებს, რომლებმაც შექმნეს სრულიად სპეციფიკური ეპოქა ხელოვნებასა და ლიტერატურაში. კონფერენციამ მნიშვნელოვანი რეზონანსი მოიპოვა სამეცნიერო წრეებში: ისრაელის კონფერენციის ორგანიზატორებმა თავიანთ ფორუმს თბილისის სამეცნიერო თავყრილობის „მეორე რაუნდი“ უწოდეს, ხოლო ოქსფორდის უნივერსიტეტის ელექტრონული გამოცემლობა დაინტერესდა კონფერენციის რჩეული მასალების ინგლისურენოვანი ტომის პუბლიკაციით.

— ინსტიტუტში ჩასატარებელი მომავალი კონფერენცია რა თემას შეეხება?

— ლიტერატურის ინსტიტუტის მორიგი სამეცნიერო კონფერენცია, ტრადიციულად, ჩატარდება ოქტომბრის პირველ კვირაში და ამჯერად ჩვენი ინტერესის თემაა „კლასიკური რეალიზმის ეპოქა: მე-19 საუკუნის კულტურული

და ლიტერატურული ტენდენციები“. იმუშავებს სხვადასხვა სექციები, ტრადიციულად, გაიმართება მრგვალი მაგიდა და დისკუსიები. კონფერენციის ერთ-ერთი სექცია დაეთმობა აკაკი წერეთლის ცხოვრებასა და შემოქმედებას, რომლის დაბადებიდან 170 წელი სრულდება. საგულისხმოა, რომ კონფერენციის მუშაობაში ჩართვის მსურველთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, შემოსულია ასზე მეტი განაცხადი საქართველოდან და უცხოეთიდან. ნამდვილად სასაინტერესოა ის გარემოება, რომ ლიტერატურის ინსტიტუტის ამ ყოველწლიურმა სამეცნიერო ფორუმმა უკვე მოიპოვა ავტორიტეტი როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში.

— როგორ არჩევთ კონფერენციების თემატიკას, რა რეალიებს ითვალისწინებთ? რამდენად ემთხვევა ქართული ინტერესები მსოფლიო ლიტერატურისმცოდნეობის ინტერესებს?

— კონფერენციის დონესაც და მნიშვნელობასაც პრობლემის აქტუალობა განაპირობებს, ხოლო აქტუალობა ბევრად არის დამოკიდებული თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობით სივრცეში მიმდინარე პროცესებზე. ქართული ინტერესები ლიტერატურული პროცესების ანალიზის თვალსაზრისით დღეს უკვე სავსებით თავსებადია საერთაშორისო ფილოლოგიურ ინტერესებთან, რაც, ცხადია, აიხსნება იდეოლოგიური შეუზღუდაობით, საზღვრების გახსნილობითა და კომუნიკაციური შესაძლებლობების მაღალი დონით.

— ბოლო დროს ლიტერატურის ინსტიტუტმა არაერთი ნაბიჯი გადადგა საერთაშორისო ლიტერატურულ ცენტრებთან დასახლოვებად. კიდევ რაიმე სიახლეს ხომ არ ველოდებით?

— ლიტერატურის ინსტიტუტმა, მისმა სამეცნიერო კოლექტივმა მართლაც მნიშვნელოვანი წარმატებებს მიაღწია ბოლო ხნის განმავლობაში: განახლდა და გაგრძელდა ისეთი ტრადიციული ჟურნალების გამოცემა, როგორებიცაა „ლიტერატურული ძიებანი“, „სჯანი“, „კრიტიკა“, „რუსთველოლოგია“, „ქართული ფოლკლორი“, „გალაკტიონოლოგია“, „ლექსმცოდნეობა“; დაისტამბა ახალი ტიპის სამეცნიერო გამოცემები — თემატური საიუბილეო კრებულები: „ილია ჭავჭავაძე 170“, „სულხან-საბა ორბელიანი 350“ და ლიტერატურის ინსტიტუტის პირველი გზამკვლევი — „წმინდა ნინოს ცხოვრება“; განსაკუთრებული ენერგიით მიმდინარეობს მუშაობა ლიტერატურის თეორიისა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით: გამოიცა სახელმძღვანელო „ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“, სერიის „ლიტერატურათმცოდნეობითი რვეულები“ სამი წიგნი: „მეტაფორა“, „ჟანრის თეორია“ და „ლირიკული ჟანრები“, აგრეთვე, „ლიტერატურის თეორიის ქრესტომათიის“ პირველი ტომი (დაგეგმილია ხუთი ტომის გამოცემა). განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ინსტიტუტის მუშაობა აკადემიური გამოცემების კუთხით: წლის ბოლოსათვის დასრულდება ილია ჭავჭავაძის ოცტომეული გამოცემა, ხოლო ერთ თვეში მზის სინათლეს იხილავს აკაკი წერეთლის აკადემიური ოცტომეულის პირველი ტომი. ინსტიტუტში გააქტიურებულია სამეცნიერო თარგმანის სექტორი: მეცნიერ-თანამშრომელთა ძალზე კომპეტენტური გუნდის მიერ უკვე ითარგმნა ბარტის, სოსიურის, ფრანს ტეესტები და ეს ნივნებიც მზადდება გამოსაცემად. მაგრამ ინსტიტუტის მუშაობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სა-

გამომცემლო პრაქტიკით. წლის განმავლობაში ინსტიტუტში ტარდება არა მარტო საერთაშორისო, არამედ უაღრესად საინტერესო ლოკალური და რეგიონალური კონფერენციები ქართული ლიტერატურის და ლიტერატურათმცოდნეობის, ფოლკლორისა და ლექსმცოდნეობის მიმართულებით; ამასთან, ინსტიტუტი აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე რეფორმის პროცესში: ინსტიტუტი თანამშრომლობს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებთან სწავლების სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე, ბოლო ორი წლის მანძილზე კი ინსტიტუტის ბაზაზე წარმატებით ხორციელდება მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მეცნიერები, სათანადო ფორმატით, აცნობენ პედაგოგებს ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების უახლეს შედეგებს. პრიორიტეტებიც ეს გახლავთ: ინტენსიური მუშაობა ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლის წარმატებული დღევანდელი მემკვიდრეების უზრუნველყოფა და საერთაშორისო კონტაქტების გაფართოება.

— მართლაც, ლიტერატურის ინსტიტუტში, რომ იტყვიან, რვეოლუციური რეფორმები მიმდინარეობს, ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ ახლად გვეხირობს. ამ დროს როგორ განისაზღვრება სამეცნიერო პრიორიტეტები?

— საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბება ნამდვილად იყო ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ამოცანა, რომელიც იდგა ინსტიტუტის წინაშე. ვფიქრობ, ლიტერატურის ინსტიტუტმა სწორად წარმართა აღნიშნული პროცესი: ხელშეკრულებები გაფორმდა ძალზე მნიშვნელოვანი ლიტერატურულ ცენტრებთან — შედარებით ლიტერატურათმცოდნეობის საერთაშორისო ასოციაციასთან, შედარებით ლიტერატურათმცოდნეობის ევროპულ ასოციაციასთან, ცენტრალური ევრაზიული კვლევების საზოგადოებასთან, ფრიდრიხ რიუგერტის საზოგადოებასთან და სხვა. ეს ორგანიზაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ფუნქციონირებს, რაც საშუალებას გვაძლევს, თვალ-ყური ვადევნოთ საერთაშორისო ლიტერატურათმცოდნეობით პროცესებს და აქტიურადაც ვიყოთ მასში ჩართულნი. სულ ახლახან ინსტიტუტში დასრულდა მუშაობა პროექტზე „თოთხმეტი ქართული ლექსი“ (თარგმანი კომენტარებით), რომელიც განხორციელდა საკმაოდ მსხვილი ამერიკული გამოცემლობის დაკვეთით და მომავალ წელს დაისტამბება ამერიკაში. პარალელურად, სლოვაკეთის ლიტერატურულ ასოციაციასთან და სლოვაკურ გამოცემლობასთან ერთად, მუშაობა დაიწყო პროექტზე „მე-20 საუკუნის ქართული მოთხრობა“, რომლის გამოცემაც დაგეგმილია სლოვაკეთში 2012 წელს. გვაქვს საინტერესო შემოთავაზებები ინგლისიდან და გერმანიიდან, რომლებზეც ვმუშაობთ და, ვიმედოვნებთ, რომ მათაც მივცემთ მსველობას.

— რამდენად გაამართლა სამეცნიერო გრანტების სისტემამ და რა მომავალი აქვს მას?

— სამეცნიერო გრანტების სისტემის დანერგვა არის ყველაზე წარმატებული და პროგრესული სახელმწიფოებრივი ნაბიჯი, გადადგმული მეცნიერების მხარდასაჭერად. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო რუსთაველის ფონდის (ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის) დაფუძნების მნიშვნელობა: ამ ფონდის დახმარებით



ქართული ეროვნული მეცნიერებებისა და, ზოგადად, ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ, განახორციელონ სამეცნიერო პროექტები, ჩატარონ კონფერენციები, გაემგზავრონ სამეცნიერო მივლინებებში. ფონდის მუშაობა განსაკუთრებულად პოზიტიურად აისახება სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მუშაობაზე: ფონდის მიერ გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, ერთი მხრივ, წარმოებს სამეცნიერო გამოკვლევები და მიიღწევა ახალი შედეგები, ხოლო მეორე მხრივ, მეცნიერი იღებს მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას საკმაოდ მწირი სახელფასო განაკვეთის პირობებში. არამარტო მხარს უჭერს საგრანტო ფონდების არსებობას, არამედ მიმართავს, რომ მათი მუშაობის გაფართოება და დაფინანსების გაზრდა სერიოზული მოტივაცია იქნება ქართველი მეცნიერებისათვის. ლიტერატურის ინსტიტუტი ნაყოფიერად თანამშრომლობს ლოკალურ საგრანტო ფონდებთან და გარკვეულ წარმატებებს საერთაშორისო საგრანტო ფონდებთან მუშაობის მიმართულებითაც იხვეჭს.

— აპრილის ბოლოს სასტუმრო „შერატონ-მეტეხი პალასში“ ქალაქ თბილისის საკრებულოს მხარდაჭერით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ლიტერატურა მოდერნიზმისა და რეალიზმის მიჯნაზე“, რომელიც ნიკოლორთქიფანიძისა და მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 130 წლისთავს მიეძღვნა. შესაძლებელია თუ არა, რომ მომავალშიც გაგრძელდეს საკრებულოსთან თანამშრომლობა?

— სამეცნიერო კონფერენცია სახელმწიფო „ქართული ლიტერატურა მოდერნიზმისა და რეალიზმის მიჯნაზე“, მიძღვნილი ნიკოლორთქიფანიძისა და მიხეილ ჯავახიშვილის დაბადებიდან 130-ე წლისთავისადმი, 28 აპრილს, ქალაქ თბილისის საკრებულოს მხარდაჭერით, ჩატარდა „შერატონ-მეტეხი პალასში“. კონფერენცია, გარდა იმისა, რომ თემატურად იყო ძალზე საინტერესო, აღინიშნა საზეიმო მოვლენებითაც: პირველად გაიცა გრიგოლ კვიციანი სახელობის სამეცნიერო პრემია ლიტერატურათმცოდნეობის დარგში. პრემია დაანესა ლიტერატურის ინსტიტუტმა და, ამ წლიდან მოყოლებული, ის ყოველ ორ წელიწადში ერთხელ გაიცემა სამ ნომინაციაში: საუკეთესო სამეცნიერო მონოგრაფია, საუკეთესო სამეცნიერო სტატია და საუკეთესო სამეცნიერო თარგმანი კომენტარებით. ამავსე კონფერენციის ფარგლებში ქალაქ თბილისის საკრებულომ და ლიტერატურის ინსტიტუტმა დააჯილდოვეს მოსწავლეთა კონკურსის „საუკეთესო ნარკვევი ნიკოლორთქიფანიძისა და მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების შესახებ“ გამარჯვებული მოსწავლე. ჩვენ, ცხადია, დიდი სურვილი გვაქვს, მომავალშიც ვითანამშრომლოთ ქალაქ თბილისის საკრებულოსთან: ამგვარი მხარდაჭერა დიდი სტიმულია სამეცნიერო საზოგადოებისათვის და შედეგსაც ნაყოფიერს გამოიღებს. კონფერენციის მასალები, რომელიც უახლოეს ხანებში კრებულის სახით დაიბეჭდება, ვფიქრობ, დადასტურებს ჩემს ვარაუდს.

დასასრული მე-16 გვერდზე

გაზაფხულის მინურულს, 18-21 მაისს, თბილისში საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თაოსნობით, ასევე, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და ქალაქის მერიის მხარდაჭერით წიგნის XII საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა. წლებანდელ ფესტივალს თბილისის საკონცერტო დარბაზმა უმასპინძლა.



...ფილარმონიის სამი სართული წიგნის პავილიონებს, საგანგებოდ მოწყობილ სტენდებსა და ბანერებს უჭირავს. დახლებთან მისვლა, ხალხმრავლობის გამო, თითქმის შეუძლებელია. გამომცემლობები, წიგნის მაღაზიები, სადისტრიბუციო სამსახურები, საერთაშორისო ორგანიზაციები, საელჩოები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები - ფესტივალის ოთხმოცზე მეტი მონაწილე - ნებისმიერი ასაკისა და გემოვნების მკითხველს არაერთ ლიტერატურულ სიახლესა და წიგნის უზარმაზარ არჩევანს სთავაზობს. თითოეული მათგანი, დამთავალიერებულთა მოზიდვას საგულდაგულოდ მოფიქრებული სლოგანითა თუ სარეკლამო პლაკატით ცდილობს: „ნებისმიერი წიგნი ოცპროცენტიანი ფასდაკლებით“, „პირველი ქართული ფენტეზი“, „წიგნების ყველაზე დიდი არჩევანი, ყველაზე სრულყოფილი მომსახურება“, „ნაიკითხე წიგნები, უკეთესად იქნები“... გამოფენილი პროდუქციის მრავალფეროვნება მართლაც თვალშისაცემია. შთამბეჭდავად გაფორმებული, მაღალი პოლიგრაფიის გამოცემების სიუხვე გაბნევს, აღარ იცი, საით გაიხედო, რომელ წიგნს მისწვდე. პირველ სართულზე „ივენტ პოლი“ საპრეზენტაციო სივრცედაა გამოყენებული. ახალი წიგნების პრეზენტაციები ერთმანეთის მიყოლებით იმართება, მას ავტორები და გამომცემლები წარმოადგენენ. მეტი თვალსაჩინოებისთვის დიდი ეკრანი დამონტაჟებული, რომელზეც საპრეზენტაციო პროდუქციის „ჩვენება“ მიმდინარეობს. იმპროვიზირებულ დარბაზში უამრავი ხალხია, გამომსვლელებს უსმენენ... სხვები კი პავილიონებს მიუყვებიან... ვესაუბრებით მათ, ვისთვისაც ფესტივალი დატვირთულ სამუშაო დღეებს ნიშნავს, ასევე მათაც, ვისთვისაც ფესტივალი უცნობი ავტორების აღმოჩენასთან, ახალი წიგნების შექმნასთან, ან უბრალოდ წიგნების უსასრულოდ თვალსაჩინოებასთან ასოცირდება...

ზაალ სამადაშვილი, მწერალი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე: „თბილისის წიგნის ფესტივალი ერთ-ერთი სასარგებლო და მნიშვნელოვანი კულტურული აქციაა. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ასეთი სახის ღონისძიებები მიზნად ისახავს საზოგადოებაში წიგნიერების დონის ამაღლებას, წიგნის პოპულარიზაციას. თბილისში გამართული ეს ოთხდღიანი აქციაც ამავე მიზნისკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი გახლავთ. უპირველესად, ეს მკითხველების ზეიმაა. მით უფრო, რომ წლებანდელ ფესტივალზე, გამომცემლები საკმაოდ მრავალფეროვანი პროდუქციით არიან წარმოდგენილი და აქ თითქმის ყველა გემოვნების მკითხველს მისთვის საინტერესო წიგნის აღმოჩენა შეუძლია. წიგნის ფესტივალს ვუსურვებ ბევრ მნახველს, ბევრ მყიდველს, ბევრ მკითხველს!“


ბაპურ სულაკაური, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“: „იმდენი სიახლე გვაქვს, რომ ვერც ჩამოვთვლი. დაახლოებით ასზე მეტი წიგნი გამოვეცით და ფესტივალზე გამოვიტანეთ. ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე კი ისაა, რომ ფესტივალის დღეებში გამოვლინდება კონკურსის - „წლის საუკეთესო მოთხრობა“ - გამარჯვებული. ჩვენი გამომცემლობა კონკურსს ყოველწლიურად მართავს. წელს მეშვიდე დაჯილდოვებაა. ზოგადად, ფესტივალს რაც შეეხება, წელს ის გაცილებით მასშტაბურია. ვფიქრობ, გამომცემლობათა რაოდენობა იმდენად არ გაზრდილა, რამდენადაც გამოცემული წიგნების რიცხვმა მოიმატა. ფესტივალი მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. აქ არამარტო გამომცემლები და წიგნით მოვაჭრეები ხვდებიან ერთმანეთს, არამედ ყველა ის ადამიანი, ვისაც წიგნი აინტერესებს.“

ბია შარჩხაძე, „გია ქარჩხაძის გამომცემლობა“: „ახალახან გამოვეცით მეორე ქართული „ფენტეზი“ - „ამბავი ლილე იროელისა“. მის ავტორს, ნატო დავითაშვილს მკითხველი უკვე იცნობს. მისი პირველი „ფენტეზი“ - „როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან“ 2008 წლის „ოქროს ბუმბულის“ გამარჯვებულია. წარმოდგენილი გვაქვს, ასევე, „ბეჭდების მბრძანებლის“ მეორე ტომი, რომელიც სწორედ დღეს გამოვიდა და მაშინვე ფესტივალზე გამოვიტანეთ. მკითხველს კიდევ უამრავ ახალ გამოცემასა და განსაკუთრებულ ფასდაკლებას ვთავაზობთ.

ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, წიგნის ბაზრობა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. აქ ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, ერთის მხრივ, რეკლამა, პიარი, მეორე მხრივ პროდუქციის სრული გამოფენა, ერთგვარი ანგარიშგება მკითხველის წინაშე, და ბოლოს - გაყიდვა. ნებისმიერი ნაციონალური ტიპის წიგნის ბაზრობაზე ფოკუსირება სწორედ ფასდაკლებებსა და გაყიდვებზე ხდება. მართალია, ჩვენს ფესტივალში უცხოელებიც მონაწილეობენ, მაგრამ წმიდა ინტერნაციონალური ტიპის ბაზრობა, რომელიც ყიდვა-გაყიდვაზე ორიენტირებული არ არის, მსოფლიოში სულ რამდენიმეა. დანარჩენ ქვეყნებს საკუთარი წიგნის ბაზრობები აქვთ. ჩვენც ამ გზით მივდივართ. სასურველია, მომავალში ფესტივალის მასშტაბი კიდევ უფრო გაიზარდოს, მეტი სტენდი გაჩნდეს. წელს, თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ გამომცემლობათა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა, ეს ნიშნავს, რომ წიგნიც იყიდება. ესე იგი, ბაზარი თანდათან იზრდება.“

ბია ღარსალია, გამომცემლობა „არტე“: „როგორც ყოველთვის, წელსაც, ფესტივალზე ჩვენს მიერ გამოცემული ყველა წიგნი წარმოვადგინეთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სერია „აუცილებელი საკითხავი“, სერიის უახლესი წიგნია კნუტ ჰამსუნის „შიმშილი“. გამოცემები გრძელდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დავინწყეთ ოთარ ჭილაძის ატომთმეულის გამოცემა. ამჯერად, პირველი ტომი წარმოვადგინეთ. ხელმოწერა ათივე ტომზე შესაძლებელია.

ფესტივალი, უპირველესად, იმითაა მნიშვნელოვანი, რომ აქ მოდის ბევრი ის ადამიანი, რომელიც, შესაძლებელია, წიგნის მაღაზიებს ყოველდღიურად არ აკითხავდეს. ასეთი აქცია, ზოგადად, საზოგადოებაში წიგნის



ხდება. მართალია, ჩვენს ფესტივალში უცხოელებიც მონაწილეობენ, მაგრამ წმიდა ინტერნაციონალური ტიპის ბაზრობა, რომელიც ყიდვა-გაყიდვაზე ორიენტირებული არ არის, მსოფლიოში სულ რამდენიმეა. დანარჩენ ქვეყნებს საკუთარი წიგნის ბაზრობები აქვთ. ჩვენც ამ გზით მივდივართ. სასურველია, მომავალში ფესტივალის მასშტაბი კიდევ უფრო გაიზარდოს, მეტი სტენდი გაჩნდეს. წელს, თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ გამომცემლობათა რაოდენობამ საგრძნობლად იმატა, ეს ნიშნავს, რომ წიგნიც იყიდება. ესე იგი, ბაზარი თანდათან იზრდება.“

ბია ღარსალია, გამომცემლობა „არტე“: „როგორც ყოველთვის, წელსაც, ფესტივალზე ჩვენს მიერ გამოცემული ყველა წიგნი წარმოვადგინეთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სერია „აუცილებელი საკითხავი“, სერიის უახლესი წიგნია კნუტ ჰამსუნის „შიმშილი“. გამოცემები გრძელდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დავინწყეთ ოთარ ჭილაძის ატომთმეულის გამოცემა. ამჯერად, პირველი ტომი წარმოვადგინეთ. ხელმოწერა ათივე ტომზე შესაძლებელია.

ფესტივალი, უპირველესად, იმითაა მნიშვნელოვანი, რომ აქ მოდის ბევრი ის ადამიანი, რომელიც, შესაძლებელია, წიგნის მაღაზიებს ყოველდღიურად არ აკითხავდეს. ასეთი აქცია, ზოგადად, საზოგადოებაში წიგნის



პოპულარიზაციას უწყობს ხელს, წიგნისადმი სიყვარულს აღვივებს. მეორე მხრივ, ფესტივალი გამომცემლების, წიგნის დისტრიბუტორების, ავტორების, მკითხველების, მთარგმნელების შეხვედრის დრო და ადგილია.

ბასილ სვიდელიძე, მწერალი: „ფესტივალზე, გამომცემლობა „პალიტრამ“ ახალი წიგნი, „39 მოთხრობა“ წარმოადგინა. წიგნის შექმნის იდეა მე მეკუთვინის. სულ ახლახან გამომცემლობა „პალიტრას“ პერიოდულ ჟურნალს — „ლიტერატურულ პალიტრას“ ხუთი წელი შეუსრულდა. გამომცემლობის ხელმძღვანელებს შევთავაზე რჩეულ მოთხრობათა კრებული მოგვემზადებინა. ცხადია, „ლიტერატურული პალიტრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მოთხრობებს ვგულისხმობდი. შევიკრიბეთ სარედაქციო საბჭოს წევრები და იმ ასორმოდდაათი მოთხრობიდან, რომელიც ხუთი წლის მანძილზე ჟურნალში დაიბეჭდა, ოცდაცხრამეტი საუკეთესო გამოვარჩიეთ. გვეკითხებინან, რატომ ოცდაცხრამეტი და არა — ორმოციო. ბანალურ ციფრებს ავცდით. წიგნში გამოქვეყნებული მოთხრობების ავტორთა ასაკობრივი სპექტრი საკმაოდ ფართოა. სხვადასხვაგვარია ტექსტების სიღრმე, მიდგომები... ასე რომ, ყველა მკითხველი იქ თავის მოთხრობას იპოვის. „ოცდაცხრამეტი“ ჩემი მოთხრობაცაა შესული.“

გივი ალხაჯიშვილი, პოეტი: „ფესტივალზე, ჩემი ახალი წიგნი - „მომავალი წარსული“ პრეზენტაცია გაიმართება. წიგნს გამომცემლობა „სიესტასთან“ ერთად წარვადგენ. „მომავალი წარსული“ გახლავთ დოკუმენტური



პროზა, რომელიც მოიცავს პერიოდს 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ლამის 2000 წლის ჩათვლით. აქედან ოცდაათი წელი საბჭოურია, ათი კი დამოუკიდებლობის ხანას განეკუთვნება — ურთულესი პერიოდებია! უამრავი დოკუმენტური მასალაა გადარჩენილი, მრავალი ფაქტია შემონახული. წიგნში ამ ყველაფერს თავი მოვუყარე და ვფიქრობ, მომავალი თაობებისთვის ის საინტერესო იქნება.

მართალია, ჯერ არ მინახავს, მაგრამ ფესტივალზე აუცილებლად იქნება წარმოდგენილი კიდევ ერთი ჩემი წიგნი - „ასი ლექსი“, რომელიც „ინტელექტმა“ გამოსცა. ეს წიგნიც ახლახან გამოვიდა.

წლების მანძილზე, გამომცემელი ვიყავი, ამ სფეროში მიწვედა საქმიანობა და ვიცი, რომ წიგნის პოპულარიზაციისა და შესაბამისად, მწერლების პოპულარიზაციისათვის, ასეთი ღონისძიებების გამართვა აუცილებელია. კარგია, რომ ფესტივალი დამკვიდრდა და ყოველწლიურად ტარდება...“

სოსო ტაბუცაძე, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის საგამომცემლო საქმის კოორდინატორი, თსუ პროფესორი: „ჩვენ, მოგვხსენებთ, აკადემიური ტიპის გამომცემებით ვართ წარმოდგენილი. ეს გახლავთ პერიოდული გამომცემები „წელიწადული“, „სჯანი“, „ლიტერატურული ძიებანი“. ფესტივალზე, ასევე,



გამოვიტანეთ ილია ჭავჭავაძისა და სულხან-საბა ორბელიანისადმი მიძღვნილი კრებულები, სადაც უაღრესად საგულისხმო სტატიებს ნახავთ. წარმოდგენილი გვაქვს საკმაოდ მნიშვნელოვანი გამომცემები: ლიტერატურის თეორიის კრესტომათია და სახელმძღვანელო. ეს უკანასკნელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი და მედარბითი ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტთან ერთად მოვამზადეთ. რაც შეეხება კრესტომათიას, ეს გახლავთ პირველი წიგნი კორპუსისა, რომელიც საეარაუდოდ, ხუთ ტომად გამოიცემა. გამორჩეული გამომცემების ვიზუალური მხარეც.

მოგვხსენებთ, აკადემიური სივრცე არ არის პოპულარული. ამ გარემოს მხოლოდ საზოგადოების ვინროწრე ეძალება. ჩვენი გამომცემების მიმართ ინტერესი მაინც დიდია. ძალიან კმაყოფილები ვართ. ვფიქრობ, საერთოდაც, მუდმივი პავილიონი უნდა არსებობდეს, ან ოთხი დღის ნაცლად, ფესტივალი მთელ თვეს გძელდებოდეს. ქალაქში, სადმე, კარგ ადგილას, მსუბუქი კონსტრუქცია რომ აიგოს და იქ, თუნდაც მაისობით, წიგნის საგაზაფხულო ბაზრობა იმართებოდეს, ეს თბილისის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ცენტრი იქნებოდა. შესაძლოა, ეს ფანტაზიის სფეროდან არის, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ჩემი მეგობრები, კოლეგები ამ აზრს იზიარებენ.“

ლიპა მისხი, გამომცემლობა „ტრიასი“: „ჩვენი გამომცემლობა არცთუ დიდი ხნისაა. თბილისის წიგნის ფესტივალში პირველად ვმონაწილეობთ, რაც ძალიან გვახარებს. ბოლო ხანს ჩვენს მიერ განხორციელებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია „სიბრძნე მინიატურაში“, რომლის პრეზენტაციაც ორი კვირის წინ გავმართეთ. იდეის ავტორი ბატონი გია მურღულია გახლავთ. მინიატურები კი ბატონმა რეზო ესაძემ შეასრულა. წიგნში შესულია ფილოსოფიური იგავები. ფესტივალზე წამოდგენილი გვაქვს, ასევე, ახალი წიგნი - „განძის კუნძული“, რომელიც დათო აბულაძის მიერაა ადაპტირებული. ეს გახლავთ პირველი წიგნი სერიიდან „მსოფლიო კლასიკოსები მოზარდებისთვის - ქართველი მწერლები მოგვითხრობენ“. ნელს დაგეგმილი გვაქვს ამავე სერიის ექვსი წიგნის გამოცემა. ადაპტაციის ავტორები თანამედროვე ქართველი მწერლები იქნებიან.

გვიხარია, რომ ფესტივალზე ასეთი ხალხმრავლობაა. მკითხველი არც ჩვენი გამომცემების მიმართაა გულგრილი. ვფიქრობთ, მომავალ ფესტივალზე უფრო დიდი სტენდითა და მრავალფეროვანი ლიტერატურით ვიქნებით წარმოდგენილი.“

დავით პანიჭაძე, ფილოლოგი, ჟურნალისტი: „პირველად თბილისის წიგნის გამოფენის გამართვა ქართველმა გამომცემლებმა სრული სიდუხჭირის, სიბნელის, გაუხარელობის პერიოდში მოიფიქრეს და ვფიქრობ, ამით წიგნთან დაკავშირებულ არაერთი სხვა ნამოწყებას მისცეს სტიმული. მახსოვს, 1998 წელს პირველი ღონისძიება როდენ მოკრძალებული იყო, მთელი გამოფენა „ცისფერი გალერეის“ ერთ პატარა ფლიგელში ეტეოდა...“

რაც შეეხება მკითხველს - გადავხედოთ ვინ რას კითხულობს, ვინ რას ეცნობა... ინფორმაციის გარეშე არავის შეუძლია ყოფნა. ალბათ ამიტომაც, ჯობს საინფორმაციო საშუალებებში მეტად იყოს ინტეგრირებული ინფორმაცია მაღალი რანგის საკითხავი ტექსტების შესახებ. ეს, მაინცა და მაინც, ლიტერატურული კრიტიკის განვითარებას არ გულისხმობს, თუმცა ვფიქრობ, ლიტერატურულ რეკლამას კი განავითარებს. საჭიროა კრიტიკოსებმა და გამომცემლებმა მასმედიის საშუალებებით ლიტერატურაზე ილაპარაკონ, ლიტერატურაზე — როგორც სარეკლამო ობიექტზე. რამდენად კეთილსინდისიერი იქნება კრიტიკოსი ამა თუ იმ წიგნის წარმოდგენისას, ეს სხვა საკითხია, ლიტერატურა სუბიექტური ინტერპრეტაციების საგანია, მაგრამ ვფიქრობ, კრიტიკოსებსა თუ ლიტერატურაზე მოსაუბრე ჟურნალისტებს, გამომცემლებს უნდა ნაახალისებდნენ. ახალი წიგნის გამოსვლის შემდეგ ტელერეკლამის განთავსება საკმარისი არაა, რადგან ადამიანი მხოლოდ რეკლამას არ დასჯერდება, მას წიგნის შესახებ უნდა ელაპარაკო, დაინტერესო. ეს გვაკლია.“

სასურველი შენაძენებით კმაყოფილი ადამიანები წიგნებისგან თითქმის დაცარიელებულ პავილიონებს ტოვებდნენ. 21 მაისის საღამოს წიგნის დღესასწაული დასრულდა და ათვლა ახლიდან დაიწყო...“



